ხელშეკრულება № 11-155/Დ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **15 ნოემბერი, 2017 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **მამუკა ბერიძის** სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: ს/ს „სასტუმროების და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი - ემ/გრუპ", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ანა ბოკერიას** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ჩანტლაძის ქ. №40
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი"; კოდი: TBCBGE22; ანგ. № GE45TB7619136020100019
საიდენტიფიკაციო კოდი 205073016

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 14 ნოემბრის N1395912 და 15 ნოემბრის N1402386 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმების ხელმოწერის ღონისძიების ფარგლებში მოწვეული სტუმრებისთვის **სარესტორნო მომსახურების (CPV55330000)** შესყიდვა (8 პერსონაზე).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **693,11 (ექვსასოთხმოცდაცამეტი ლარი და 11 თეთრი)** ლარს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის ასიგნებები: „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ (პროგრამული კოდი 32 01 01).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2017 წლის 15 ნოემბერს.
6.2 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის №29ა-ში მდებარე რესტორან „მეტეხის ჩრდილში“.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი და დროული მომსახურება;
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4 შემსყიდველი ვალდებულია:
7.4.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.
8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.
8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 1 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, სამხედრო მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3 მიმწოდებლის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

10.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

13.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

14. ზოგადი დებულებები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

14.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მ.შ.	გენერალური დირექტორი
მამუკა ბერიძე	ანა ბოკერია
---	---

დანართი N1

დასახელება	რაოდენობა	ფასი	ჯამი
ქართული ყველის ასორტი	2	20.00	40.00
ნადუღი სულგუნის ფირფიტებში	2	7.50	15.00
მხალის ასორტი	2	15.00	30.00
ძვალგამოცლილი შემწვარი წიწილა მაყვლის წვენში	2	20.00	40.00
ორაგული ბაჟეში	2	24.50	49.00
ქართული სალათი	2	9.00	18.00
მჭადი	6	1.50	9.00
ხაჭაპური იმერული	2	11.00	22.50
შოთის პური	4	2.00	8.00
სოკო კეცზე სულგუნით	2	13.00	26.00
ხბოს მწვადი	4	15.00	60.00
ბოსტნეულის მწვადი მაყალზე	2	9.00	18.00
შემწვარი კარტოფილი ოჯახურად	2	5.00	10.00
წიწილა შქმერულად	2	20.00	40.00
ტოლმა ვაზის ფოთოლში	2	13.50	27.00
პომიდვრის საწებელი	2	2.00	4.00
ტყემალი	2	2.00	4.00
ბორჯომი	3	2.20	6.60
ლიმონათი "ბერიკა"	3	2.50	7.50
წყალი ბაკურიანი	3	2.50	7.50
თელავური ევროპული (თელავ.მარანი)	4	12.00	48.00
თელავური წითელი (თელიან. მარანი)	4	16.00	64.00
სეზონური ხილის ასორტი	2	25.50	51.00
ყავა „ამერიკანო“	1	4.00	4.00
ყავა „ესპრესო“	1	4.00	4.00
ყავა „კაპუჩინო“	1	5.00	5.00
ჩაი „გურიელი“	3	4.00	12.00
ჯამი			**630.10**
10%			**63,01**
სულ:			**693.11**

შემსყიდველის მხრიდან:
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მ.შ.
მამუკა ბერიძე

მიმწოდებლის მხრიდან:
დირექტორი
გიორგი ჩუბინიშვილი

მიღება–ჩაბარების აქტი №11-155/2

ქ. თბილისი 15 ნოემბერი 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** მისი სტრატეგიული გადეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის **კახა ხანდოლიშვილის სახით** და მეორეს მხრივ **სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენჯმენტ ჯგუფის - ემ/გრუპ“** წარმოდგენილი **მისი გენერალური დირექტორის ანა ბოკერიას სახით** ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2017 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული №11-155/2 ხელშეკრულების ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკის განათლებისა, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით "მიმწოდებელმა", 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ პროგრამა (პროგრამული კოდი: 32 01 01) დაფინანსების ფარგლებში, უზრუნველყო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სარესტორნო მომსახურება საერთო ღირებულებით: **692,56 (ექვსასოცდათორმეტი ლარი და 56 თეთრი) ლარი (თანდართული ჩეკის შესაბამისად).**

693,11 (ექვსასოთხმოცდაცამეტი ლარი და 11 თეთრი) ლარს

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს _____

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

692,56 (ექვსასორმოცდათორმეტი ლარი და 56 თეთრი) ლარს.

გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს _____

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

სს „სასტუმროებისა და რესტორნების
მენჯმენტ ჯგუფის - ემ/გრუპ“-ის
გენერალური დირექტორი: /ა. ბოკერია/

მიიღო:

სტრატეგიული გადეგმვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი: /კ. ხანდოლიშვილი/

ON THE SEVENTH
OF SEVENTH

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ ᲛᲔᲢᲔᲡᲘᲡ ᲜᲐᲠᲓᲘᲚᲘ
Ქ.ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, Ქ.ᲜᲐᲛᲔᲪᲮᲐᲚᲘᲡ 29Ა
(+995 32) 2305530

ᲛᲔᲢᲔᲡᲘᲡ ᲜᲐᲠᲓᲘᲚᲘ - ᲞᲐᲢᲠᲐᲯᲘᲡ ᲡᲐᲪᲐᲠᲢᲝ 81 - 6

ᲩᲔᲙᲘᲡ #: 1 ᲡᲢᲝᲚᲘ: 6

ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲘ: ᲡᲐᲥ. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ Ს

ᲒᲐᲮᲡᲜᲐ: [illegible] ᲓᲐᲑᲘᲡᲢᲝᲕᲔᲑᲐ: [illegible]

#	ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ	ᲠᲐᲝᲓ.	ᲤᲐᲡᲘ	ᲯᲐᲛᲘ
[illegible]				629.80
1	[illegible]	2.	15.00	30.00
2	[illegible]	2.	7.50	15.00
3	[illegible]	2.	20.00	40.00
4	[illegible]	2.	20.00	40.00
5	[illegible]	2.	9.00	18.00
6	[illegible]	6.	1.50	9.00
7	[illegible]	4.	2.00	8.00
8	[illegible]	2.	11.00	22.00
9	[illegible]	2.	24.50	49.00
10	[illegible]	4.	15.00	60.00
11	[illegible]	2.	13.00	26.00
12	[illegible]	2.	20.00	40.00
13	[illegible]	2.	9.00	18.00
14	[illegible]	2.	13.50	27.00
15	[illegible]	2.	5.00	10.00
16	[illegible]	2.	2.00	4.00
17	[illegible]	2.	2.00	4.00
18	[illegible]	8.		0.00
19	[illegible]	2.	25.50	51.00
20	[illegible]	3.	2.30	6.90
21	[illegible]	3.	2.50	7.50
22	[illegible]	3.	2.50	7.50
23	[illegible]	1.	4.00	4.00
24	[illegible]	1.	4.00	4.00
25	[illegible]	1.	5.00	5.00
26	[illegible]	3	4.00	12.00
27	[illegible]	4.	12.00	48.00
28	[illegible]	4	16.00	64.00
[illegible]	[illegible]			62.96
[illegible]	[illegible]			62.96
[illegible]	[illegible]			692.55
1	[illegible]			692.55

ᲡᲣᲚ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚᲘ: 0.00

[illegible]

m|group